ჯემალ
გახოკიძე
Jemal
Gakhokidze
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
Doctor of Law
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University
დარეჯან ლეკიაშვილი
Darejan Lekiashvili
სამართლის დოქტორი,
Doctor of Law
ასოცირებული პროფესორი
Associate Professor
უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“
Higher Education Institution 'Education Academy'

ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები

Legal Aspects on Fight against Terrorism

რეზიუმე: სამწუხარო რეალობად რჩება ფაქტი, რომ ტერორისტული დანაშაული ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება და დღითიდღე სულ უფრო და უფრო აქტუალურ ხასიათს იძენს. იზრდება ტერორისტული აქტების რიცხვი, საინფორმაციო წყაროებიდან სულ უფრო ხშირად გვესმის სიტყვები: „ტერორისტული აქტი“, „ტერორისტი“, „ტერორიზმის მსხვერპლი“... მიუხედავად აღნიშნულისა, დღესდღეობით საერთაშორისო თანამეგობრობაში ერთიანი მოსაზრება ტერორიზმის არსის, ფარგლებისა და დეფინიციის თაობაზე არ არსებობს. საკვლევი პროექტის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს 21-ე საუკუნის გლობალური საფრთხის - ტერორიზმის პრობლემის კომპლექსური კვლევა საფრთხის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებების შემუშავების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ტერორისტული აქტი, ტერორისტი, ტერორიზმის მსხვერპლი.

Abstract: The sad reality remains the fact that the terrorist crime belongs to one of the hardest crimes of our present, and the day-by-day is becoming more and more sensitive. The number of terrorist acts increases, and from the sources of information, **"Terrorist Act", "Terrorist", "Terrorism victim"** ... Despite this, there is no unanimous opinion of the international community today about the essence, scope and definition of terrorism. One of the main objectives of the research project is to carry out complex study of the problem of one of the

global threats of the 21st Century – terrorism in order to elaborate ways of prevention and effective skills of fighting against terrorism.
Keywords: Terrorist Act, Terrorist, Terrorism victim.

პრობლემა, რომელზეც ამ სტატიაშია გამახვილებული ყურადღება, XXI საუკუნის ყველაზე საშიში გამოწვევის, ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური გზების ძიებას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ფუნდამენტური პრინციპების დაცვასა და მისი ნებისმიერი ფორმით შეზღუდვის დაუშვებლობას ეხება.

საქართველო, როგორც დემოკრატიული პრინციპების მატარებელი მსოფლიო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა, ყოველთვის ცდილობდა, თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა მსოფლიოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესში, მათ შორის ტერორიზმისა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამ თვალსაზრისით, მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დიდ ჯაჭვში, ჩვენი სახელმწიფო ერთ-ერთ საპატიო რგოლს წარმოადგენს, რასაც უდავოდ მოწმობს საქართველოს მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა როგორც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე, ტერორისტულ დანაშაულს, რომელსაც მე-20 საუკუნის შავ ჭირსაც უწოდებენ, საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ყველასათვის ცნობილია, რომ სიტყვა „ტერორი“(terrere) ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს - შიშს, საშინელებას, დაშინებას. ისტორიულად ტერორიზმი სხვადასხვა ფორმითა და ხასიათით ვლინდებოდა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ეპოქალური მახასიათებლებით. ამა თუ იმ იერარქიულ საფეხურზე მდგომი მოკვდავნი, ჯერ კიდევ ადრეული საუკუნეებიდან მიმართავდნენ თავიანთი მიზნების მისაღწევად ტერორისტულ მეთოდებს. მაგ., საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში ტერორი იქცა ძალადობრივი სოციალური მოვლენის აღმნიშვნელ სიმბოლოდ. მმართველი კლასების ძალაუფლებისაკენ სწრაფვის სურვილმა სისხლიანი ელფერი მიიღო და პარიზის ქუჩებში დატრიალებულმა იაკობინელთა ტერორმა ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საუკუნეების განმავლობაში, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ტერორისტული დანაშაულის შინაარსიც იცვლებოდა. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ იტალია, რუსეთი, ავსტრია, გერმანია. თვით პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზსაც, სწორედ ტერორისტული აქტი - ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის მკვლელობა წარმოადგენს. ალბათ ამის შედეგია, რომ მეცნიერ-მკვლევარებმა აღნიშნული პერიოდის ტერორისტული დანაშაულები „რევოლუციურ ტერორად“ შეაფასეს.

ჟამთა ცვალებასთან ერთად იცვლებოდა ტერორისტული დანაშაულის შინაარსი, ფორმა, დანაშაულის ჩადენის ხერხი და მეთოდები. ტერორისტული

დანაშაული გაცდა შიდასახელმწიფოებრივ ჩარჩოებს. არაერთი სახელმწიფო, რომელთათვის სასურველი მიზნის მისაღწევად საყოველთაოდ აღიარებულ ბრძოლის მეთოდებს სათანადო შედეგი არ მოჰქონდა, ტერორისტულ მეთოდებს მიმართავდნენ სურვილის მისაღწევად. შედეგად, მე-20 საუკუნის ბოლოს, ჩნდება ტერორიზმის ახალი მიმდინარეობა, რომელიც „სახელმწიფო ტერორიზმად“ შეფასდა. თანდათან ჩნდება ტერორისტული დანაშაულის ახალი გამოვლინებები - „რელიგიური ტერორიზმი“, „კიბერტერორიზმი“.

21-ე საუკუნის დასაწყისიდანვე ტერორისტებმა მთელ მსოფლიოს დაანახვეს, რომ ტერორიზმი ერთ-ერთი უმძიმესი და უსაშინლესი დანაშაულია, რომელსაც უამრავი უდანაშაულო მსხვერპლი მოჰყვება. ამას ცხადყოფს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2004 წლის 11 მარტს მადრიდში და იმავე წლის 1 სექტემბერს რუსეთში, კერძოდ ბესლანში დატრიალებული ტრაგედია, რომელთაც მსხვერპლად უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს.

1993 წლის თებერვალში, ქალაქ ნიუ-იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომზე აფეთქდა 1200 ფუტი სიმძიმის ბომბი, რომელიც ყვითელი ფერის ნაქირავებ სატვირთო ავტომანქანაში იყო ჩამონტაჟებული. აფეთქებამ მსოფლიოში სიმაღლით მეორე შენობის სარდაფში მყისიერად წარმოშვა 20 ფუტის რადიუსის კრატერი. დაშავდა ათასზე მეტი ადამიანი ,თუმცა მსხვერპლთა რიცხვი შედარებით მრავალრიცხოვანი არ იყო - მხოლოდ 7 ადამიანი. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შენობისა და აშშ-ს ეკონომიკური სიძლიერის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტი ამერიკელებისათვის შოკის მომგვრელი იყო. ეს შოკი კიდე უფრო მეტად შოკის მომგვრელი გახდა 8 წლის შემდეგ - 2001 წლის 11 სექტემბერს, როდესაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე ახალი ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა. ამჯერად შენობებს კომერციული რეისის ადვილად აალებადი საწვავით დატვირთული ორი თვითმფრინავი შეეჯახა. ცათამბჯენები მცირე ხნის განმავლობაში იწვოდა, შემდეგ საოცარი სიძლიერით ჩამოინგრა, რამაც მანჰეტენის დიდი ნაწილი გაანადგურა, ხოლო შენობებში მყოფი ასობით ადამიანი იმსხვერპლა. ქუჩები აივსო ათასობით ტონა ცეცხლმოკიდებული ნანგრევებით და კვამლის, მტვრისა და ფერფლის უზარმაზარი ღრუბელი წარმოშვა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში იყო ჩამოწოლილი ქალაქის თავზე.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული უმნიშვნელოვანესი საფრთხე 21-ე საუკუნის მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ტერორისტული დანაშაული, უკვე თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, „საერთაშორისო ტერორიზმად“ ფასდება და საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილე მთელი რიგი

ქვეყნები ერთიანდებიან ამ უმძიმესი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. გამონაკლისს რა თქმა უნდა არც საქართველო წარმოადგენს.

აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში. აქვე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ აღნიშნულით არ შემოვიფარგლებით, საქართველო სამართლებრივ დონეზეც ცდილობს დაარეგულიროს ტერორიზმთან ბრძოლის ფორმები და მეთოდები. კერძოდ, მე-20 საუკუნის ბოლოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 კარში (დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ) შევიდა ცალკე თავი - ტერორიზმი, სადაც დღეისათვის 13 მუხლია, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა დეფინიციები. ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო არა მხოლოდ პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, რომელმაც ასე კონკრეტულად დააკვალიფიცირა ტერორისტული დანაშაულობების ცალკეული გამოვლინებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ უნდა იყოს საკმარისი, კერძოდ, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ათობით და ასობით უდანაშაულო მსხვერპლის გათვალისწინებით, ტერორიზმის დანაშაული უნდა განიხილებოდეს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებთან ერთობლიობაში, მით უმეტეს, რომ შემადგენლობით და შინაარსით ტერორიზმის დანაშაული სწორედ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეს წარმოადგენს. ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დღეს მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ არის დაცული ტერორიზმის საფრთხისაგან. უკანასკნელი წლების მანძილზე ტერორისტული აქტები გახშირდა და სულ უფრო და უფრო სასტიკ ხასიათს იძენს.

ტერორიზმის, როგორც თანამედროვე დანაშაულის ტენდენცია, ვფიქრობთ, იმაში გამოიხატება, რომ პოლიტიკური, რელიგიური თუ ეროვნული (სეპარატისტული) ფანატიზმით შეპყრობილი ცალკეული პირები, რომელთაც ძირითადად ანგარებითი სულისკვეთება ამოძრავებთ, თავიანთი იდეოლოგიის ხორცშესხმას ძალადობით, ე.წ. კრიმინალური ხერხებით ახორციელებენ, რაც, რა თქმა უნდა, მიზნის მიღწევის დანაშაულებრივ, მაგრამ ეფექტურ საშუალებად გვევლინება.

ტერორისტული დანაშაულის მიზნისა და საშუალებების ერთმანეთთან დაახლოება და, მით უმეტეს, შერწყმა, საზოგადოებისათვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს, იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც დიდი ხანია აწუხებს კითხვები - თუ რატომ არ განსხვავდება დიდად ზოგიერთი პოლიტიკოსი დამნაშავისგან, ან ასე რატომ მიილტვიან ცალკეული დამნაშავე ელემენტები პოლიტიკაში?

საკითხის აქტუალურობის განმაპირობებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად უპირველეს ყოვლისა ტერორიზმის ცნების განსაზღვრა მიგვაჩნია, რადგან დღესდღეობით ერთიანი მოსაზრება ტერორიზმის დეფინიციის თაობაზე

საერთაშორისო თვალსაზრისით არ გვაქვს (ამის ნათელი დადასტურებაა ევროკავშირსა და თურქეთის მთავრობას შორის ამჟამად არსებული უთანხმოება ტერორიზმის დეფინიციასთან დაკავშირებით). აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმის დეფინიციაში წინ ყოველთვის შემდეგი საკითხები იყო წარმოჩენილი:

- ტერორიზმი არის პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სოციალური მოტივით განპირობებული, საჯარო ძალადობის უკიდურესი ფორმების გამოყენებით ჩადენილი ქმედება ან ქმედების მუქარა, მიმართული ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ, ასევე საომარ მოქმედებათა პროვოცირებისკენ, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედების მიზნით;
- ტერორიზმი ხორციელდება ტერორისტებისათვის სასურველი პოლიტიკური, არამართლზომიერი ქონებრივი და სხვა მიზნების შესასრულებლად, რათა ზემოქმედება მოხდეს ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ან გამოწვეულ იქნეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევა ან მოსახლეობის დაშინება;
- ტერორიზმი ხელყოფს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრივი მოღვაწის სიცოცხლეს მისი სახელმწიფო ან პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტის, ან ასეთ საქმიანობაზე ზემოქმედების მიზნით ან აღნიშნული საქმიანობის გამო შურისძიების მიზნით;
- ტერორიზმი აგრეთვე არის უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის ან საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელზე თავდასხმა, თუ ასეთი მოქმედება ჩადენილია ომის პროვოცირების ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულების მიზნით.

გვაძლევს თუ არა ყოველივე ზემოხსენებული ტერორისტული დანაშაულის უფრო ფართო სპექტრში განხილვის საფუძველს, შეიძლება თუ არა ტერორიზმის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიაში მოაზრება, ეს საკითხები წარმოადგენს თემის კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს.

ტერორიზმის საკითხის მკვლევართა და ასევე ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენს თანამედროვეობის გლობალური საფრთხის - ტერორიზმის, პრობლემის კომპლექსური კვლევა საფრთხის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებების შემუშავების მიზნით, აგრეთვე სათანადო წინადადებების შემუშავება საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობების სრულყოფის თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ ძირითად მიზანს ასევე წარმოადგენს სათანადო რეკომენდაციების წარმოდგენა, არის თუ არა შესაძლებელი ტერორიზმის დანაშაული

გადატანილ იქნეს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიაში, აღნიშნულის შედეგად ტერორიზმის დანაშაულზე აღარ იმოქმედებს ხანდაზმულობის ვადა, ტერორისტული დანაშაულის საქმის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რაც თავისთავად საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო მეტად შეკავშირებას გამოიწვევს ამ უსასტიკესი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა უკანასკნელ პერიოდში ევროპაში განხორციელებული ტერორისტული აქტების სერიამ და გლობალურმა საფრთხემ, რომელიც დაკავშირებულია ისლამურ სახელმწიფოსთან.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს ასევე სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის საკითხი ტერორიზმთან მიმართებით. როგორც წესი, მთელი რიგი სახელმწიფოები კატეგორიულად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ტერორისტებთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე. რამდენად გამართლებულია ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი, იქნებ ბევრად უფრო დადებითი შედეგის მომტანი იყოს მოლაპარაკების გზით გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა, როგორ და რა ფარგლებში იქნება ეს შესაძლებელი. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად აუცილებლად მიგვაჩნია სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება, რათა ერთიანი პოლიტიკა იქნეს შემუშავებული ტერორისტებთან ბრძოლის ტაქტიკაში, მათ შორის სათანადო მოლაპარაკებების წარმოების თვალსაზრისით.

მიზნის მისაღწევად ჩვენს მიერ განსახორციელებელი ამოცანები შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

1. ტერორიზმის დანაშაულის ანატომია;
2. ტერორიზმი და მისი თანამდევი საფრთხეები;
3. ტერორიზმთან ბრძოლის ტაქტიკა, მეთოდიკა და ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ასევე კოორდინაცია როგორც ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე;
4. ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები და მისი სრულყოფის გზები როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე;
5. ტერორიზმის რისკ-მენეჯმენტი.

ზემოხსენებული მიზნებისა და ამოცანების სათანადოდ განსახორციელებლად აუცილებლად მივიჩნევთ, წინ იქნეს წამოწეული ტერორიზმის დანაშაულის საფრთხის გამოვლენის, წარმოჩენისა და შესწავლა-გაანალიზების საკითხები, რომ ხელი შევუწყოთ მსოფლიო თანამეგობრობის შესაბამისი ორგანოების კიდევ უფრო მეტად შეკავშირებასა და გაერთიანებას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.

ტერორიზმის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს, როგორც ცნობილია, უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ტერორისტული აქტის განხორციელების მიზეზების, მიზნისა და პირობების შესწავლა. ყოველივე ზემოხსენებული, სათანადო სამართლებრივი ბაზის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელს გახდის, განისაზღვროს:

- ტერორიზმის საფრთხის გამოვლენა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა;
- ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის ორგანიზაციის ფორმები, ასევე ანტიტერორისტული ძალების კოორდინაცია სამივე დონეზე და სისხლის სამართლებრივი საფუძვლები;
- საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა) მონაწილეობის ორგანიზაციული საფუძვლები, მათი უფლებები, მოვალეობები და სამართლებლივი გარანტიები ტერორიზმთან ბრძოლაში;

  თანამდებობის პირთა და ცალკეულ მოქალაქეთა მონაწილეობის ორგანიზაციული საფუძვლები, მათი უფლებები, მოვალეობები და სამართლებრივი გარანტიები ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით;
- როგორც სპეციალიზებული, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მონაწილეობის სამართლებლივი და ორგანიზაციული საფუძვლები ტერორიზმთან ბრძლის სფეროში;
- ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და წარმოდგენა.

ტერორიზმის საკითხის სრულყოფილად კვლევის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს იმ ეფექტური მეთოდებისა და ხერხების შესწავლა და წარმოჩენა, რომლებიც საშუალებას მისცემს ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ შესაბამის ორგანოებს, სრულად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული რესურსები თანამედროვეობის უსასტიკესი დანაშაულის ტერორიზმის დასამარცხებლად.

დაბოლოს, წინამდებარე სტატიის ავტორთა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შესაძლო კავშირების დამყარება როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, ასევე საქართველოში რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის ორგანოებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღნიშნული თანამშრომლობა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო შესაძლებელს გახდის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ორიენტირებული მაღალი პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და

სრულყოფას როგორც ფართო თეორიული ცოდნის, ასევე სათანადო პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

References:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 1997. Sakartvelos sisxlis samarTlis kodeqsi,
   Tbilisi, 1997
2. საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“, თბილისი, 2007.
   Sakartvelos kanoni ,,terorizmisTan brzolis Sesaxeb'', Tbilisi, 2007.
3. ევროპის საბჭოს დოკუმენტთა კრებული ადამიანის უფლებების დაცვისა და დანაშაულთან ბრძოლის შესახებ, 1998.

Evropis sabWos dokumentTa krebuli adamianis uflebebis dacvisa da danaSaulTan brzolis Sesaxeb, 1998.